სლენგი თანამედროვე ქართულ რომანში და მისი თარგმნის პრობლემა

(აკა მორჩილაძის რომანის „მოგზაურობა ყარაბაღში“ ინგლისური თარგმანის მიხედვით)

მარიამ კომახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი.

თანახელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ, კომაზიძე,

თარიღი: 25/06/2019

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ქართულ რომანში წარმოდგენილი სლენგი და მისი ინგლისურად თარგმნის პრობლემატიკა. ნაშრომის საანალიზო მასალას წარმოადგენს აკა მორჩილაძის რომანი „მოგზაურობა ყარაბაღში“ და მისი ელიზაბეთ ჰაივეის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანი. მოცემული მასალის კვლევა დესკრიფციული ხასიათისაა და ემპირიული მასალის შეპირისპირებულ ანალიზზე დაყრდნობით, მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს თარგმნის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა მთარგმნელობითი სტრატეგიები. ნაშრომი ეყრდნობა მონა ბეიკერის მიერ შემოთავაზებულ სტრატეგიებს, რომელიც შეეხება ეკვივალენტობას სიტყვის დონეზე, და ოთარ მათეშვილის მიერ შემოთავაზებულ „ლექსიკური ტრანსფორმაციის სახეობებს“.

საკვლევი ობიაეტის აქტუალობა განპირობებულია ზოგადად კოლოკვიალიზმებისა და მათ შორის სლენგის თარგმნის სირთულით. მისი თარგმნის პრობლემატურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სლენგი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ საზოგადოების კულტურასთან სადაც იგი იქმნება. შესაბამისად კვლევის ობიექტს წარმოადგენს, თუ როგორ გადადის სლენგის მნიშვნელობა წყარო ტექსტიდან სამიზნე ტექსტში და მისი თარგმნის პროცესში გამოყენებული სტრატეგიები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სლენგის თარგმნისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ეკვივალენტური თარგმანი და პერიფრაზი. ასევე გამოიყენება დამატება, გამოკლება და კომპენსაცია.

ძირითადი საძიებო სიტყვები : სლენგი, თარგმნა, სტრატეგიები.

Abstract

In the following thesis the problem of translation of Georgian slang into English language is discussed. Material used for this discussion is the Georgian novel "Journey to Karabakh" by Aka Morchiladze and its translation in English by Elizabeth Highway. Analyses are based on the strategies proposed by Mona Baker and Otar Mateshvili. Previously mentioned strategies are "Equivalence at word level" by Mona Baker and "Types of lexical transformations" by Otar Mateshvili. Those strategies are applied to the English and Georgian empirical material from the novel and its translation mentioned above. Furthermore the effectiveness of those strategies while translating slang are analyzed.

This topic is very important due to the peculiarity of translation of slang and colloquial expressions. Translation of slang is nowadays one of the hardest tasks for translators, since slang is connected to the culture of the society where it is created in, therefore finding an exact equivalent in target language is difficult. This task gets harder as there is not an exact approach presented for the translation of slang.

Based on the research findings show that the E. Highway uses different types of translation approaches. The most frequently used strategies are: equivalent translation, paraphrase, omission, addition and compensation.

Key words : Slang, Translation, Strategies.